№ 00007 „21" 01 2021

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობა ეძლევა ბესიკ კალაძეს (პირადი #01010015517) მასზე, რომ იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს ბანკი სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში", კერძოდ ბანკის სახელით მონაწილეობა მიიღოს ბანკის საკუთრებაში არსებულ ქონების, ქ.თბილისი, მ.თამარაშვილის ქ. N13-ში ნულოვან სართულზე არსებული 494 კვ.მ საოფისე ფართი (ს/კ 01.10.16.004.160.01.531) გარე ფასადის მოწყობაზე თანხმობის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების პროცესში. მოიპოვოს ფასადის ცვლილების ნებართვა/თანხმობა, წარადგინოს პროექტები (ასეთის საჭიროების შეთხვევაში) და განახორციელოს სხვა ისეთი ქმედებები, რაც დაკავშირებული იქნება ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად.

რწმუნებული უფლებამოსილია, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, შეუზღუდავად მოაწეროს ხელი საჭიროებისამებრ ყველა დოკუმენტაციას, რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია 2021 წლის 21 ივლისის ჩათვლით.

ბექა კვარაცხელია

რისკების დირექტორი

CARTU BANK 204891652